ხელშეკრულება #2020/01-73

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

საბიუჯეტო სახსრებიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ერთის მხრივ,
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის კობა ხუბუნაიას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205390511;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგ/ნომერი: GE24NB0330100200165022;
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ,
შპს „თეგეტა მოტორსი”, წაროდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ჟორა რუხაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ №5.
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“;
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ანგ/ნომერი: GE80TB0600000024467853;
ტელ: 226 44 44
(შემდგომში „მიმწოდებელი“).

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) –„შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საჭიროებისათვის:
   - **საბურავების შესყიდვა.**
   - **CPV კოდი: 34351100 - მსუბუქი ავტომანქანის საბურავები.**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა და ფასი მოცემულია **დანართი #1**, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს - **4660,00 (ოთხიათას ექვსას სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.4 დაფინანსების წყარო: **<u>2020 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.</u>**

3.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან **2020 წლის 31 დეკემბრამდე**.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალიწინებული საქონლის მიწოდება არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 კალენდარული** დღისა.

4.1.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოწორება.

4.2 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

4.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

4.2.2 მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ გაწერული მომსახურება.

4.2.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით.

5.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის ასისტენტი დავით ჩიტოშვილი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6.5 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის ასისტენტი დავით ჩიტოშვილი.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულები 0.02%-ის ოდენობით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.3.1 თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

10.3.2 თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.3.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

7.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.2 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით.

10.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.5 „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე დგება მიღება-ჩაბარების აქტი 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ორი „მიმწოდებელთან“.

10.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი პირი „შემსყიდველთან“).

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	შპს „თეგეტა მოტორსი“
Koba Khubunaia Digitally signed by Koba Khubunaia Date: 2020.12.24 12:15:42 +04'00'	Tegeta Motors LLC Digitally signed by Tegeta Motors LLC DN: cn=Tegeta Motors LLC, 2.5.4.97=NTRGE-202177205, o=••• •••••• •••••••, c=GE Date: 2020.12.24 13:20:39 +04'00'
კობა ხუბუნაია	ჟორა რუხაძე

ფასების ცხრილი

#	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	საბურავი Riken 175/70 R14 84T SNOWTIME B2	ცალი	14	140,00	1960,00
2	საბურავი Riken 195/65 R15 91H Snow	ცალი	4	135,00	540,00
3	საბურავი Riken 225/60R17 103V SUV SNOW	ცალი	4	225,00	900,00
4	საბურავი Pet. 255/70R16 Winter W671	ცალი	4	315,00	1260,00
სულ სახელშეკრულებო ღირ-ბა:					**4660,00**

მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ საბურავზე საგარანტიო პირობები ვრცელდება: საბურავის სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50 000 კმ გარბენზე. საგარანტიო პერიოდში ნორმების დაცვით ექსპლუატაციისას საბურავის გამოყენება არ უნდა იწვევდეს საფრთხის შექმნას მგზავრებისათვის და საბურავმა არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტი, რომელიც ხელს შეუშლის სატრანსპორტო საშუალების ნორმალურ ექპლუატაციას.

საბურავმა საგარანტიო ვადის ამოწურვამდე არ უნდა განიცადოს დეფორმაცია და უნდა ექვემდებარებოდეს ბალანსირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით.

გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:
ა) მექანიკური;
ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/“დაბუქსავება“);
გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;
დ) ბორდიურზე მიჯახება;
ე) ჩარტყმა.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	შპს „თეგეტა მოტორსი“
კობა ხუბუნაია	ჟორა რუხაძე